საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჩხანი

მაჩხანი, ხუროთმოძღვრული ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს დიღმის ხეობის სათავეებში, სოფ. წოდორეთის მახლობლად. აგებულია IX ს. შუა ხანებში. ეკლესია დარბაზულია (7,4 მ × 4,6 მ), ნაგებია თლილი ქვით. გარედან შემოსილია შირიმის ქვით. შესასვლელი სამხრ-იდანაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ვიწრო და ღრმა ნიშაა. ერთი სარკმელი სამხრ-ის კედელშია. ცილინდრული კამარა კაპიტელებიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სამხრ-ის ფასადზე ჯვრებია გამოსახული, ხოლო კარის არქიტრავის ქვაზე ქართ. ასომთავრულით შესრულებული სამშ. წარწერაა, რ-შიც ჩართულია არაბ. ტექსტი. ორივე ტექსტის მიხედვით ეკლესია აუგია ჰომად კიტრისძეს. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის მარჯვნივ, არის კიდევ ერთი წარწერა [„სახელითა ღმრთისაითა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა შეწევნითა წმიდისა თევდორესითა აეშენა საყდარი ესე დიდგორის ხევისუფლობასა გელსაბისაი (გულსაბისა) ქალაქისა უფლობასა ამირაისა დიავარისა იოვანეს უფალო შეუნდვენ ამინ“]. ეკლესიას შემოვლებული აქვს თაღების მწკრივით მორთული ქვის ლავგარდანი.

ეკლესიის ირგვლივ ფეოდ. ხანის ნასოფლარია, რ-იც ამჟამად ტყით არის დაფარული. შემორჩენილია ქვის შენობებისა და კლდეში სამალავი ქვაბის ნაშთები.

ლიტ.: ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი თ., მაჩხაანის ეკლესიის წარწერები, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1962, ტ. 29, №5; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ]. 5, თბ., 1990; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. 1, Тб., 1970; Ш м е р л и н г Р. О., Д о л и д з е В. О., Б а р н а в е л и Г. В., Окрестности Тилиси, Тб., 1960.

ჯ. გვასალია

პ. ზაქარაია